

შავი ზღვის ზონის ატმოსფერული ჰაერის
ხარისხის მართვის 2025-2027 წლების
გეგმის
2025 წლის მონიტორინგის ანგარიში



გარემოს დაცვისა და ხოფლის მეურნეობის სამინისტრო

სარჩევი

| | |
|--|----|
| მოკლე შეჯამება..... | 3 |
| შესავალი | 5 |
| ზოგადი პროგრესი..... | 6 |
| დეტალური პროგრესი 1.1 ამოცანასთან დაკავშირებით | 13 |
| დეტალური პროგრესი 1.2 ამოცანასთან დაკავშირებით | 15 |
| დეტალური პროგრესი 1.3 ამოცანასთან დაკავშირებით | 18 |
| დეტალური პროგრესი 1.4 ამოცანასთან დაკავშირებით | 20 |
| გამოწვევები და რეკომენდაციები..... | 22 |
| კონსოლიდირებული სტატუსანგარიში..... | 24 |

მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 27 აგვისტოს N1438 განკარგულებით დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2025 - 2027 წლების გეგმა შავი ზღვის ზონისთვის წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს, რომლის მიზანია შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება.


წინამდებარე ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას 2025 წლის 1 იანვრიდან - 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებული იქნა შავი ზღვის ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

მონიტორინგის შედეგად მიღებული 2025 წლის მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, რომ შავი ზღვის ზონაში, საბაზისო მდგომარეობის (2023 წელი) მსგავსად მყარი ნაწილაკების საშუალო წლიური კონცენტრაცია ავტომატური მონიტორინგის სადგურებზე არ აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმას. აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაცია კი დამატებით ერთ (სულ 3) დაკვირვების პუნქტზე აჭარბებს ნორმას. აგრეთვე, ქ. ბათუმში ნავთობტერმინალის მიმდებარედ არსებულ დაკვირვების პუნქტზე დაფიქსირდა ბენზოლის კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე გადაჭარბება.

ქ. ბათუმში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა მყარი ნაწილაკების (PM_{10} , $PM_{2.5}$) კონცენტრაციის ზრდა, რაც ძირითადად ხშირი ტრანსსასაზღვრო დაბინძურების ეპიზოდებითაა განპირობებული. შავი ზღვის ზონაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკებისა და აზოტის ოქსიდების (NO_x) მასის გამოსათვლელად საჭიროა ქ. შავი ზღვის ზონისთვის ემისიების ინვენტარიზაციის განახლება, რაც გათვალისწინებულია გეგმით 2027 წლის ბოლომდე. 1.3 და 1.4 ამოცანების კუთხით კი, საბაზისო დონესთან შედარებით შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები ჯერჯერობით უცვლელია, ასევე არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი პროგრესი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მხრივ.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მეტწილად შესრულდა აქტივობების 3% (1 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ შესრულდა - 46% (16 აქტივობა). არ დაწყებულა 18 აქტივობის განხორციელება. საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 13%.

გეგმის აქტივობების განხორციელების დონე 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს შორის აღსანიშნავია ქ. ბათუმში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, განხორციელდა 182 სამრეწველო ობიექტის 209 ინსპექტირება. გამოვლინდა მშენებლობისა და დემონტაჟის და სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების დროს მტვრის ემისიების პრევენციის შესახებ რეგულაციების დარღვევის 39 ფაქტი და ამტვერებადი სამშენებლო მასალების განთავსების, ტრანსპორტირების და რეალიზაციის შესახებ რეგულაციების დარღვევის 158 ფაქტი ქ. ბათუმსა და ქ. ფოთში. ქ. ბათუმში, ავტომობილებიდან გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობის 1089 ფაქტი იქნა გამოვლენილი. განხორციელდა ბენზინისა და დიზელის საწვავის 13 სინჯის აღება.

ღია გრუნტიდან მტვრის ნაწილაკების გაფრქვევის შესამცირებლად ქ. ბათუმში დაირგო 2 628 ძირი მწვანე ნარგავი. ქ. ფოთში მოეწყო 5 ათასი მ² ტროტუარი და დამონტაჟდა ელექტრომობილების დამტენი. ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესების კუთხით, შეძენილ იქნა ახალი ავტომატური მონიტორინგის სადგური, რომელიც განთავსდება ქ. ფოთში.

აზოტის დიოქსიდის (NO₂) გაფრქვევების შესამცირებლად, მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოძველებული ავტოპარკი და ავტომობილების ჭარბი რაოდენობა ქ. ბათუმში განსაკუთრებით ზაფხულის სეზონზე, რის საპასუხოდ აუცილებელია სუფთა ავტომობილების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მხარდაჭერის გაძლიერება. სამშენებლო სექტორიდან დაბინძურების შესამცირებლად, აუცილებელია რეგულაციების გამკაცრება და უკვე არსებული რეგულაციების აღსრულების პროცესის გაუმჯობესება. ჰაერის ხარისხის შეფასებისა სისტემის გაუმჯობესებისა და საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კუთხით გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად საჭიროა 2026 წელს ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზება.

შესავალი

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 27 აგვისტოს N1438 განკარგულებით დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2025 - 2027 წლების გეგმა შავი ზღვის ზონისთვის წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს. გეგმა მიზნად ისახავს შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებას და ძირითადი დამბინძურებლების დონეების ნორმის ფარგლებში შენარჩუნებას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და გარემოზე. „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და მართვის ზონებისა და აგლომერაციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 აგვისტოს №2-1293 ბრძანების მიხედვით, ქ. შავი ზღვის ზონა მოიცავს აჭარის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აფხაზეთის სანაპიროზე მდებარე მუნიციპალიტეტებს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქ. ბათუმს. გეგმის მიზნების შესაბამისად სამოქმედო გეგმა აერთიანებს ოთხ ამოცანას. ესენია:

- ამოცანა 1.1 - შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება
- ამოცანა 1.2 - შავი ზღვის ზონაში აზოტის დიოქსიდის (NO₂) გაფრქვევების შემცირება
- ამოცანა 1.3 - შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების შეფასების გაუმჯობესება
- ამოცანა 1.4 - შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და აქტივობების შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას 2025 წლის 1 იანვრიდან - 2025 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.


მონიტორინგის ანგარიში შემუშავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის სამმართველოს კოორდინირებით პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებული სტატუს ანგარიშების საფუძველზე. ანგარიში შესაბამისობაშია „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით განსაზღვრულ წლიური ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგიასთან.

ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 ოქტომბრის N2-812 ბრძანების საფუძველზე შექმნილი შავი ზღვის ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.


ზოგადი პროგრესი

როგორც უკვე აღინიშნა სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს ყველა ძირითადი მავნე ნივთიერების, განსაკუთრებით კი აზოტის დიოქსიდისა და უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების (PM₁₀, PM_{2.5}) კონცენტრაციის შემცირებას. მონიტორინგის შედეგად მიღებული 2025 წლის მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, რომ შავი ზღვის ზონაში, საბაზისო მდგომარეობის (2023 წელი) მსგავსად მყარი ნაწილაკების საშუალო წლიური კონცენტრაცია არ აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმას. საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით, აზოტის დიოქსიდის (NO₂) საშუალო წლიური კონცენტრაცია კი დამატებით ერთ (სულ 3) დაკვირვების პუნქტზე აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმას, რომელზედაც გაზომვები 2025 წლიდან დაიწყო.

PM10-ის საშუალო წლიური კონცენტრაცია შავი ზღვის ზონაში




PM2.5-ის საშუალო წლიური კონცენტრაცია შავი ზღვის ზონაში



საანგარიშო პერიოდში შავი ზღვის ზონაში ჰაერის ხარისხის ავტომატური გაზომვები ხორციელდებოდა ქ. ბათუმში 2 სადგურით და ქ. ზუგდიდში 1 სადგურით. ქ. ბათუმში 2023-2025 წლებში დაფიქსირდა უმცირესი მყარი ნაწილაკების (PM₁₀ და PM_{2.5}) საშუალო წლიური კონცენტრაციების ზრდა ნორმის ფარგლებში (აბუსერიძის ქ.-ის სადგურზე: 21-29 მკგ/მ³ - PM₁₀ და 12-14 მკგ/მ³ - PM_{2.5}), ხოლო 2024-2025 წლებში ქ. ზუგდიდში კონცენტრაციები შემცირდა (24-21 მკგ/მ³ - PM₁₀ და 16-14 მკგ/მ³ - PM_{2.5}).


PM₁₀-ის საშუალო დღიური კონცენტრაციის გადაჭარბებათა რაოდენობა შავი ზღვის ზონაში



2025 წელს ზღვრულად დასაშვებ ნორმას (35 დღე) აღემატება PM₁₀-ის დღიური კონცენტრაციის გადაჭარბების შემთხვევები ქ. ბათუმის ორივე სადგურზე. მომატებული წლიური კონცენტრაციები ძირითადად განპირობებულია საანგარიშო პერიოდში ტრანსსასაზღვრო დაბინძურების ეპიზოდების სიხშირით, კერძოდ ქ. ბათუმის, აბუსერიძის ქ.-ის სადგურზე 2025 წელს 49 დღის განმავლობაში დაფიქსირდა 50 მკგ/მ³-ზე მაღალი კონცენტრაცია, საიდანაც 38 გადაჭარბების შემთხვევა განპირობებული იყო სინოპტიკური პროცესებით (საქართველოს ტერიტორიაზე უდაბნოს მტვრის ნაწილაკების შემცველი ჰაერის მასების გავრცელებით). ბათუმის ცენტრალური პარკის სადგურზე კი დაფიქსირდა გადაჭარბების 36 შემთხვევა, საიდანაც 31 განპირობებული იყო ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით. ზუგდიდში კი გადაჭარბებების რაოდენობა (12) ნორმის ფარგლებშია.


შავი ზღვის ზონაში ინდიკატორული გაზომვების მიღებულმა NO₂-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ 2025 წელს გადააჭარბა ნორმას (40 მკგ/მ³) 19 პუნქტიდან მონიტორინგის 3 პუნქტზე, რაც 1 პუნქტით მეტია 2023 წელთან შედარებით. კერძოდ, გადაჭარბება დამატებით დაფიქსირდა ქ. ბათუმში მაიაკოვსკის ქ. N4-ის მიმდებარედ, სადაც გაზომვები 2025 წლის მარტიდან დაიწყო. აღსანიშნავია, რომ აზოტის დიოქსიდის ფონური კონცენტრაცია ქ. ბათუმსა (ცენტრალურ პარკში) და ქ. ზუგდიდში მდებარე ავტომატურ სადგურებზე ნორმის ფარგლებშია. ზემოაღნიშნული ნორმებთან შეუსაბამო 3-ვე პუნქტი განთავსებულია საავტომობილო გზის მიმდებარედ, რაც ხაზს უსვამს, რომ აზოტის ოქსიდებით დაბინძურების უმთავრესი წყარო ავტოტრანსპორტია, განსაკუთრებით კი ურბანულ გარემოში.

შავი ზღვის ზონაში NO₂-ის საშუალო წლიური კონცენტრაცია



2025 წლისთვის არ დაფიქსირებულა გოგირდის დიოქსიდისა (SO₂) და ნახშირბადის მონოქსიდის (CO) ნორმაზე გადაჭარბების არც ერთი შემთხვევა. ქ. ბათუმში დაფიქსირდა ოზონის (O₃) ზღვრულ ნორმაზე (120 მკგ/მ³) გადაჭარბების 1 შემთხვევა, თუმცა აღნიშნული რაოდენობა არ აღემატება 3 წლის განმავლობაში დასაშვები გადაჭარბებების ზღვარს (25 გადაჭარბება). რაც შეეხება მძიმე მეტალებს (Pb, Cd, As, Ni) და ბენზ(ა)პირენს (C₂₀H₁₂), მათი კონცენტრაციის დადგენის მიზნით ხორციელდება მიღებული სინჯების ანალიზი.

ბენზოლის (C₆H₆) კონცენტრაცია შავი ზღვის ზონაში



2025 წლისთვის ბენზოლის (C₆H₆) ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე (5 მკგ/მ³) გადაჭარბების შემთხვევა ინდიკატორული გაზომვებით დაფიქსირდა ქ. ბათუმში, ბაქრადის ქ. N28, ტერმინალის მიმდებარედ, სადაც საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 5.3 მკგ/მ³. აღსანიშნავია, რომ ამ ლოკაციაზე მოჭარბებული კონცენტრაციები ასევე დაფიქსირდა 2020-2021 წლებში, რაც გამოწვეული ახლომდებარე ნავთობტერმინალში ნავთობპროდუქტების ჩატვირთვა/გადატვირთვით და ხაზს უსვამს ადგილზე აქროლადი ორგანული ნაერთების ავტომატური მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობას.

| მიზანი | N | გავლენის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი 2027 წელი | მაჩვენებელი 2025 წლისთვის |
|--|-----|--|----------------------|-------------------------------|---------------------------|
| ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება შავი ზღვის ზონაში | 1.1 | შავი ზღვის ზონაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც PM _{2.5} -ის და PM ₁₀ -ის საშუალო წლიური კონცენტრაცია აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას | 0 | 0 | 0 |
| | 1.2 | შავი ზღვის ზონაში ინდიკატორული მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც NO ₂ -ის საშუალო წლიური კონცენტრაცია აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას | 2 | 1 | 3 |
| | 1.3 | შავი ზღვის ზონაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც SO ₂ -ის, CO-ს, O ₃ -ის, Pb-ის, Cd-ის, As-ის, Ni-ის, C ₆ H ₆ -ის და C ₂₀ H ₁₂ -ის საშუალო კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას | 0 | 0 | 1 |


შავი ზღვის ზონაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკებისა და აზოტის ოქსიდების (NO_x) მასის გამოსათვლელად საჭიროა შავი ზღვის ზონისთვის ემისიების ინვენტარიზაციის განახლება, რაც გათვალისწინებულია გეგმით 2027 წლის ბოლომდე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში ქ. ბათუმში მყარი ნაწილაკების მომატებული კონცენტრაციები ძირითადად გამოწვეული იყო ტრანსსასაზღვრო დაბინძურების ხშირი ეპიზოდებით, აღსანიშნავია, რომ ტბელ აბუსერიძის ქ. N^o1-თან მდებარე სადგურზე საბაზისო, 2023 წელთან შედარებით ანთროპოგენული წყაროებიდან გამოწვეული გადაჭარბების შემთხვევებმაც მოიმატა 7-დან 11 დღემდე.

2025 წელს საბაზისო დონესთან შედარებით შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემა არ შეცვლილა და იგი კვლავაც აერთიანებს ჰაერის ხარისხის ავტომატურ მონიტორინგს, ინდიკატორულ გაზომვებს, გრავიმეტრიულ მონიტორინგსა და სტაციონარული წყაროებიდან ჰაერში გაფრქვევების ინვენტარიზაციას. ასევე, არ შეინიშნება პროგრესი შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

| ამოცანა | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი | მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის |
|---|---|-----------------------|-----------------------|---------------------------------|
| 1.1 შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება | მყარი ნაწილაკების (PM10) კონცენტრაციის დღიური ზღვრულად დასაშვები ნორმის გადაჭარბების შემთხვევების რაოდენობა ქ. ბათუმის ტბელ აბუსერძის ქ. №1-თან მდებარე სადგურზე, რომელიც არ არის გამოწვეული ტრანსასაზღვრო დაბინძურებით | 7 | 0 | 11 |
| 1.2 შავი ზღვის ზონაში აზოტის დიოქსიდის (NO2) გაფრქვევების შემცირება | აზოტის დიოქსიდის (NO2) წლიური საშუალო კონცენტრაცია ატმოსფერულ ჰაერში ქ. ბათუმში ლუკა ასათიანის ქუჩაზე | 65 მკგ/მ ³ | 55 მკგ/მ ³ | უცნობია |
| 1.3 შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების შეფასების გაუმჯობესება | ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების რაოდენობა | 4 | 6 | 4 |
| 1.4 შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება | შავი ზღვის ზონაში ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების მონაწილეთა რაოდენობა | 200 | 600 | 0 |


2025 წელს სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი 35 აქტივობიდან მიმდინარეობდა 17 აქტივობის განხორციელება. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მეტწილად შესრულდა აქტივობების 3% (1 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ შესრულდა - 46% (16 აქტივობა). არ დაწყებულა 18 აქტივობის განხორციელება. საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 13%.

გეგმის აქტივობების განხორციელების დონე 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



ამოცანებისა და განმახორციელებელი უწყებების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით მნიშვნელოვანი პროგრესი არ შეინიშნება.


სამოქმედო გეგმის განხორციელების დონე ამოცანების ჭრილში




სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი ამოცანების ჭრილში, %



სამოქმედო გეგმის განხორციელების დონე პასუხისმგებელი უწყებების ჭრილში



სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი პასუხისმგებელი უწყებების კრილში, %



საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს შორის აღსანიშნავია ქ. ბათუმში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, განხორციელდა 182 სამრეწველო ობიექტის 209 ინსპექტირება, მათ შორის, 7 ობიექტის კომპლექსური შემოწმება. გამოვლინდა მშენებლობისა და დემონტაჟის და სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების დროს მტვრის ემისიების პრევენციის შესახებ რეგულაციების დარღვევის 91 ფაქტი ქ. ბათუმში და 67 ფაქტი ქ. ფოთში. განხორციელდა ბენზინისა და დიზელის საწვავის 13 სინჯის აღებისა და ლაბორატორიული კვლევის პროცედურები. 2025 წელს ქ. ბათუმში, ავტომობილებიდან გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობის 1089 ფაქტი იქნა გამოვლენილი.

ღია გრუნტიდან მტვრის ნაწილაკების გაფრქვევის შესამცირებლად ქ. ბათუმში დაირგო 2 628 ძირი მწვანე ნარგავი. ქ. ფოთში მოეწყო 5 ათასი მ² ტროტუარი და დამონტაჟდა ელექტრომობილების დამტენი. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (KfW) შორის გაფორმდა განსაკუთრებული შეთანხმება პროექტის „მდგრადი ურბანული მობილობა ბათუმში“ განხორციელების თაობაზე.

ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესების კუთხით, შეძენილ იქნა ახალი ავტომატური მონიტორინგის სადგური, რომელიც განთავსდება ქ. ფოთში. აგრეთვე, შეფასდა ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემის დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო გამოთვლითი რესურსები და პერსონალის საჭიროებები.

აზოტის დიოქსიდის (NO₂) გაფრქვევების შემცირების მხრივ, მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოძველებული ავტოპარკი და ავტომობილების ჭარბი რაოდენობა ქ. ბათუმში განსაკუთრებით ზაფხულის სეზონზე. საჭიროა სუფთა ავტომობილების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მხარდაჭერის გაძლიერება, რათა შემცირდეს კერძო ავტომობილებზე დამოკიდებულება. აუცილებელია გეგმით განსაზღვრულ აქტივობებთან ერთად დაიგეგმოს და განხორციელდეს დამატებითი აქტივობები ეროვნულ დონეზე. სამშენებლო სექტორიდან დაბინძურების შესამცირებლად, აუცილებელია რეგულაციების გამკაცრება და უკვე არსებული რეგულაციების აღსრულების პროცესის გაუმჯობესება. ჰაერის ხარისხის შეფასებისა სისტემის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს არასაკმარისი

კვალიფიკაცია და ფინანსური რესურსების სიმწირე. საანგარიშო პერიოდში თითქმის არ ჩატარებულა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების აქტივობები, შესაბამისად საჭიროა 2026 წელს რესურსების მობილიზება გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად და სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად.

დეტალური პროგრესი 1.1 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.1 - შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება

პროგრესი - ამოცანის დონე:


მიუხედავად იმისა, რომ ქ. ბათუმში მყარი ნაწილაკების საშუალო წლიური კონცენტრაცია ნორმის ფარგლებშია, ნორმას აღემატება დღიურ ზღვრულ მნიშვნელობაზე გადაჭარბების შემთხვევების რაოდენობა, რომელმაც საანგარიშო პერიოდში ტბელ აბუსერიძის ქ. №1-თან მდებარე სადგურზე 49 დღე შეადგინა და მათ შორის 38 იყო განპირობებული ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით. შესაბამისად, საბაზისო მდგომარეობასთან შედარებით 2025 წელს სადგურზე დაფიქსირდა 4-ით მეტი, სულ 11 გადაჭარბება, რომელიც არ არის გამოწვეული ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით.

| ამოცანა | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი 2023 წელი | სამიზნე მაჩვენებელი 2027 წელი | მაჩვენებელი 2025 წლისთვის |
|---|---|--------------------------------|-------------------------------|---------------------------|
| 1.1 შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება | მყარი ნაწილაკების (PM10) კონცენტრაციის დღიური ზღვრულად დასაშვები ნორმის გადაჭარბების შემთხვევების რაოდენობა ქ. ბათუმის ტბელ აბუსერიძის ქ. №1-თან მდებარე სადგურზე, რომელიც არ არის გამოწვეული ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით | 7 | 0 | 11 |

პროგრესი - აქტივობის დონე:

1.1 ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი 7 აქტივობიდან 5 ნაწილობრივ შესრულდა, 2 კი - არ დაწყებულა. შესრულების პროგრესმა შეადგინა 19%. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 1.1 ამოცანის განსახორციელებლად გამოყოფილი 32 777 984 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 13 672 616 ლარი.

1.1 ამოცანის აქტივობების განხორციელების პროგრესი



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ ღია გრუნტიდან მტვრის ნაწილაკების გაფრქვევის შესამცირებლად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაირგო 2 628 ძირი მწვანე ნარგავი.

აღსანიშნავია, 2025 წელს შავი ზღვის ზონაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში შავი ზღვის ზონაში გზდ-ს მიერ განხორციელდა 182 სტაციონარული სამრეწველო ობიექტის 209 ინსპექტირება, მათ შორის, 7 ობიექტის კომპლექსური შემოწმება. მუნიციპალური ინსპექციის მიერ კი დაფიქსირდა მშენებლობის, დემონტაჟის და ამტკვერებადი მასალების ტრანსპორტირების დროს მტვრის ემისიების პრევენციის მოთხოვნების დარღვევის 91 ფაქტი ქ. ბათუმში და 67 ფაქტი ქ. ფოთში.

შავი ზღვის ზონაში ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროა გათბობის მიზნით მყარი საწვავის გამოყენება. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ქ.ბათუმსა და ქ. ფოთში 10 სასკოლო და სკოლამდელი სასწავლო დაწესებულების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც უზრუნველყოფილნი იქნებიან ბუნებრივ გაზზე მომუშავე გათბობის სისტემებით.

რისკები:

ამოცანის სრულყოფილად განხორციელებისა და მისი შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის მიღწევისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშენებლობიდან და სამშენებლო მასალების განთავსებიდან, ტრანსპორტირებიდან და რეალიზაციიდან დაბინძურების შემცირება, რაც წარმოადგენს ქ. ბათუმში მყარი ნაწილაკების ძირითად ანთროპოგენულ წყაროს. ამ მხრივ აუცილებელია რეგულაციების გამკაცრება და უკვე არსებული რეგულაციების აღსრულების პროცესის გაუმჯობესება.

მყარი ნაწილაკებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შერბილებისთვის მნიშვნელოვანია ქ. ფოთსა და განსაკუთრებით ქ. ბათუმში რეგულარულად ხორციელდებოდეს ქუჩების სველი წესით დასუფთავება, რისთვისაც შექმნილი და გამოყენებული უნდა იქნას რაოდენობის ტექნიკა.

შემდგომი ნაბიჯები:

2026 წელს გაგრძელდება 1.1 ამოცანის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობების განხორციელება. კერძოდ:

- გაგრძელდება შავი ზღვის ზონაში არსებული საწარმოების ინსპექტირება;
- გაგრძელდება ამტვერებადი სამშენებლო მასალების განთავსების, რეალიზაციისა და ტრანსპორტირების ზედამხედველობა;
- გაგრძელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დარგვის და ტყის გაშენება-აღდგენის ღონისძიებები;
- დასრულდება უფრო სუფთა საწვავზე მომუშავე საგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები
- შექმნილ იქნება ტექნიკა ქუჩების სველი წესით დამუშავების მიზნებისთვის, რაც განხორციელდება რეგულარულად.

დეტალური პროგრესი 1.2 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.2 - შავი ზღვის ზონაში აზოტის დიოქსიდის (NO₂) გაფრქვევების შემცირება

პროგრესი - ამოცანის დონე:

შავი ზღვის ზონაში მდებარე ქ. ბათუმი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი ურბანული ცენტრია და ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი პრობლემური ზონაა საქართველოში. აზოტის დიოქსიდის (NO₂) დონეები, რომლის ძირითად წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს, აქ დაკვირვების რამდენიმე წერტილში აჭარბებს როგორც ეროვნულ ნორმებს (40 მკგ/მ³).

იმისათვის, რომ დავინახოთ თუ რა შედეგი გამოიღო აღნიშნულმა აქტივობებმა აუცილებელია შავი ზღვის ზონაში ავტოტრანსპორტიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული აზოტის ოქსიდების (NO_x) მასის საანგარიშო წლის მაჩვენებლის შედარება საბაზისო მაჩვენებელთან. საანგარიშო წლის მაჩვენებლის გამოსათვლელად საჭიროა შავი ზღვის ზონისთვის ემისიების ინვენტარიზაციის განახლება, რაც გეგმით 2027 წლის ბოლომდეა გათვალისწინებული.

2025 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში რეგისტრირებულ ავტომობილთა რაოდენობამ 280 ათასი ავტომობილი შეადგინა, რაც ქვეყანაში რეგისტრირებული საერთო ავტოპარკის 15%-ია. ამას ემატება ზაფხულის პერიოდში ტურისტულ სეზონზე დამსვენებელთა რაოდენობა და ტრანზიტული ავტომობილები, რომელთა დაახლოებით ნახევარი როგორც წესი სარფის გავლით შემოდის საქართველოში.

აზოტის დიოქსიდით დაბინძურება საავტომობილო გზების მიმდებარედ წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ქ. ბათუმში, რაზეც მოწმობს ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები შედეგები. როგორც უკვე აღინიშნა, აზოტის დიოქსიდის (NO₂) საშუალო წლიური კონცენტრაცია ქალაქის 3 დაკვირვების პუნქტზე აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას. აზოტის დიოქსიდით დაბინძურების პრობლემის გადასაწყვეტად სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულ აქტივობებთან ერთად საჭიროა დამატებითი, უფრო ამბიციური აქტივობების დაგეგმვა და დროული განხორციელება ეროვნულ დონეზე.

| ამოცანა | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი 2023 წელი | სამიზნე მაჩვენებელი 2027 წელი | მაჩვენებელი 2025 წლისთვის |
|--|--|--------------------------------|-------------------------------|---------------------------|
| 1.2 შავი ზღვის ზონაში აზოტის დიოქსიდის (NO ₂) გაფრქვევების შემცირება | შავი ზღვის ზონაში ავტოტრანსპორტიდან აზოტის დიოქსიდების (NO _x) გაფრქვევების წლიური რაოდენობა შეწონილი ავტომობილების რაოდენობასთან | 65 მკგ/მ ³ | 55 მკგ/მ ³ | უცნობია |


პროგრესი - აქტივობის დონე:

1.2 ამოცანის ამოცანა 1.2-ის ფარგლებში გათვალისწინებული 16 აქტივობიდან:

- 1 აქტივობა მეტწილად შესრულდა;
- 6 აქტივობა ნაწილობრივ შესრულდა;
- 9 აქტივობა ჯერ არ დაწყებულა (0%).

ჯამში, მეორე ამოცანის პროგრესი 10%-ს შეადგენს. აქტივობები განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯებით, საბიუჯეტო და დონორული დაფინანსებით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 1.2 ამოცანის განსახორციელებლად გამოყოფილი 16 061 924 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 535 616 ლარი.

ამოცანა 1.2-ის აქტივობების განხორციელების პროგრესი



გადაადგილების ალტერნატიული საშუალებების განვითარების კუთხით აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ქ. ფოთში მოეწყო 5 000 მ² ტროტუარი. აგრეთვე, ფოთში დამონტაჟდა ელექტრომობილების ერთი დამტენი.

შავი ზღვის ზონის ფარგლებში საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შერჩევითი წესით განხორციელდა ბენზინისა და დიზელის საწვავის 13 სინჯის აღებისა და ლაბორატორიული კვლევის პროცედურები. 2025 წელს ქ. ბათუმში, ავტომობილებიდან გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობის 1089 ფაქტი იქნა გამოვლენილი. შერჩეულ იქნა და სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს გადმოეცა ადგილი აჭარის რეგიონში საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე, სადაც გზისპირა ზონაში განხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების საგზაო ინსპექტირება. საგზაო ინსპექტირება, რომელიც სხვა კომპონენტებთან ერთად, მოიცავს გამონაბოლქვის კანონმდებლობით დაშვებული ნორმების კონტროლსაც. მძიმე საწვავის, საზღვაო საწვავისა და გაზოილის სინჯების აღების სისტემის შესაქმნელად და ანალიზის მეთოდების დასადგენად შემუშავებულია სამართლებრივი აქტის პროექტი.

ამოცანის 6 ძირითადი აქტივობის (ჭკვიანი შუქნიშნების სისტემის დიზაინის გაფართოება, ძველ ბათუმში ავტომობილების გადაადგილების შეზღუდვა, ავტობუსების სავალი ზოლების ქსელის გაფართოება და ავტობუსის კეთილმოწყობა, ველოსიპედისა და ტროტუარების მოწყობა/რეაბილიტაცია) განხორციელება ქ. ბათუმში დაგეგმილია პროექტის „მდგრადი ურბანული მობილობა ბათუმში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით. საანგარიშო

პერიოდში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და KFW-ს შორის გაფორმდა განსაკუთრებული შეთანხმება პროექტის განხორციელების თაობაზე.

რისკები:

ქ. ბათუმში აზოტის დიოქსიდის ნორმაზე გადაჭარბებული კონცენტრაციის მიზეზია მოძველებული ავტოპარკი და ავტომობილების მზარდი რაოდენობა, განსაკუთრებით ტურისტულ სეზონსა და ტრანზიტული მიზნებისთვის. საჭიროა დამატებითი ძალისხმევა, განსაკუთრებით სატრანსპორტო ნაკადების ეფექტური მართვის, დაბალი ემისიის მქონე სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების წახალისების და გადაადგილების ალტერნატიული საშუალებების განვითარების მიმართულებით. ჰაერის ხარისხის მდგრადი გაუმჯობესებისთვის აუცილებელია დარჩენილი აქტივობების სრული იმპლემენტაცია და დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტური განხორციელება.

გამოწვევას წარმოადგენს არასაკმარისი ფინანსური რესურსი, რაც განაპირობებს დეფიციტური და დონორული დაფინანსების მქონე აქტივობების შეზღუდულ პროგრესს.

შემდგომი ნაბიჯები:

2026 წელს 1.2 ამოცანის ფარგლებში გაგრძელდება გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობები:

- გაგრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა მიზანია ფეხით და ველოსიპედით გადაადგილების ხელშეწყობა;
- ჩატარდება დიზელისა და ბენზინის სინჯების აღება; მოხდება დიზელისა და ბენზინის ხარისხის ეროვნული სტანდარტების შედარებითი ანალიზი საერთაშორისო სტანდარტთან; განისაზღვრება მძიმე საწვავის, საზღვაო საწვავისა და გაზოილის სინჯების აღებისა და ანალიზის მეთოდები;
- დაინერგება სატვირთო ტრანზიტული ავტომობილების ემისიის კონტროლის სისტემა და გაიზრდება ქ. ბათუმში ავტომობილების გამონაბოლქვის კონტროლის ინტენსივობა;
- გაიზრდება ელექტრომობილების დამტენების რაოდენობა.

დეტალური პროგრესი 1.3 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.3 - შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების შეფასების გაუმჯობესება

პროგრესი - ამოცანის დონე:

საანგარიშო წლის მდგომარეობით, შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემა არსებითად უცვლელია და კვლავ მოიცავს ოთხ ძირითად ინსტრუმენტს: ავტომატურ მონიტორინგს, ინდიკატორულ მონიტორინგს, გრავიმეტრულ მონიტორინგს და სტაციონარული წყაროებიდან ჰაერში გაფრქვევების ინვენტარიზაციას.


მიუხედავად იმისა, რომ ჰაერის ხარისხის შეფასების არსებული სისტემა ფუნქციონირებს და აწვდის მონაცემებს სხვადასხვა დაბინძურების პარამეტრებზე, პროგრესის თვალსაზრისით

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები არ დაფიქსირებულა. ამოცანის ფარგლებში განსაზღვრული 5 აქტივობის განხორციელება 2027 წლისთვის არის დაგეგმილი. შესაბამისად, 2025 წლის განმავლობაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა მომზადების სამუშაოებზე, რათა 2026-2027 წლებში ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესება განხორციელდეს.

| ამოცანა | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი 2024 წელი | სამიზნე მაჩვენებელი 2027 წელი | მაჩვენებელი 2025 წლისთვის |
|---|--|--------------------------------|-------------------------------|---------------------------|
| 1.3 შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების შეფასების გაუმჯობესება | ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების რაოდენობა | 4 | 6 | 4 |

პროგრესი - აქტივობის დონე:

1.3 ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი 6 აქტივობიდან 3 შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო 3 აქტივობის შესრულება არ დაწყებულა. შესრულების პროგრესმა შეადგინა 16%. აქტივობების განსახორციელებლად გათვალისწინებული 494 308 ლარიდან საანგარიშო წელს დაიხარჯა 571 009 ლარი, რაც ძირითადად განპირობებულია ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურის გაზრდილი საფასურით.



ფინანსური რესურსებისა და შესაბამისი ექსპერტიზის დეფიციტმა მნიშვნელოვნად შეზღუდა აღნიშნული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა. ამ მიმართულებით პროგრესის მიღწევა დამოკიდებულია საერთაშორისო დონორული დაფინანსების მოპოვებასა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობაზე.

საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით შეძენილ იქნა ქ. ფოთში განსათავსებელი ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგური. სადგურის

განთავსებისთვის მოძიებული ადგილი სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს კუთვნილებაში გადმოეცა. აგრეთვე, შავი ზღვის ზონაში ინდიკატორული გაზომვების წერტილების რაოდენობა გაიზარდა 22-დან 25-მდე და მონიტორინგი ტარდება დამატებით დაბა ურეკის, ქ. ხობისა და ქ. ბათუმის თითო-თითო წერტილებზე.

აგრეთვე, საანგარიშო პერიოდში ევროპელმა ექსპერტებმა ჩაატარეს კვლევა და მოამზადეს ანგარიში, რომელშიც განსაზღვრულია ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემის დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო გამოთვლითი რესურსებისა და პერსონალის საჭიროებები.

რისკები:

ჰაერის ხარისხის შეფასებისა და მისი გაუმჯობესებისთვის დაგეგმილი აქტივობების განხორციელება გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროცესის წინსვლა დიდწილად დამოკიდებულია დაფინანსების უზრუნველყოფაზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს საკუთარი რესურსებით თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვას, ასევე შესაბამისი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას.

შემდგომი ნაბიჯები:

2026 წელს დამონტაჟდება და ამოქმედდება ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი სადგური ქ. ფოთში. ევროკავშირის მხარდაჭერით დაინერგება ჰაერის ხარისხის მოდელირებისა და პროგნოზირების სისტემა, რომელიც მოიცავს ჰაერის ხარისხის მოდელს შავი ზღვის ზონისთვისაც. შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიების შემთხვევაში, აგრეთვე განხორციელდება სხვა აქტივობებიც.

დეტალური პროგრესი 1.4 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.4 - შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება


პროგრესი - ამოცანის დონე:

ჰაერის დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება შავი ზღვის ზონაში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. საანგარიშო პერიოდში არ გამართულა გარემოსდაცვითი ღონისძიება, რომელიც ორიენტირებული იქნება უშუალოდ შავი ზღვის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე. შესაბამისად, არ დაფიქსირებულა პროგრესი ამოცანის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის კუთხით.

| ამოცანა | ამოცანის შედეგის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი 2023 წელი | სამიზნე მაჩვენებელი 2025-2027 წლები | მაჩვენებელი 2025 წლისთვის |
|---|---|--------------------------------|-------------------------------------|---------------------------|
| 1.4 შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის | შავი ზღვის ზონაში ჩატარებული გარემოსდაცვითი | 200 | 600 | 0 |

პროგრესი - აქტივობის დონე:

ამოცანა 1.4-ის ფარგლებში დაგეგმილი 6 აქტივობიდან 2 შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო დანარჩენი 4 აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა. აქტივობების შესრულების პროგრესმა კი შეადგინა 7%. აქტივობებზე გამოყოფილი 89 200 ლარიდან საანგარიშო პერიოდში არ დახარჯულა.



ამოცანის ფარგლებში 2025 წლის განმავლობაში ქ. ბათუმში შიდასაქალაქო ავტობუსის 105 მძღოლმა გაიარა ეკო-მართვის ტრენინგი. ამასთან, მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები გარემოსდაცვითი ცნობიერების ღონის ამაღლების აქტივობათა ჩასატარებლად.

რისკები:

არასაკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსი წარმოადგენს გამოწვევას სრულფასოვანი გარემოსდაცვითი საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების ღონისძიების ორგანიზებისთვის. საჭიროა სათანადო ფინანსური რესურსის დროული მოზიდვა, რათა ამოცანის ფარგლებში დასახული სამიზნე მაჩვენებლები გეგმის განხორციელების დასასრულს იქნას მიღწეული.

შემდეგი ნაბიჯები

2026 წელს განხორციელდება გეგმით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ცნობიერების ღონის ამაღლების ყველა აქტივობის განხორციელება უმრავლესობა, კერძოდ:

- მოეწყობა აქტივობები საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის;

- შემუშავდება და გავრცელდება ჰაერის დაბინძურების საკითხებზე საინფორმაციო მასალები;
- ორგანიზებული იქნება მდგრადი მობილობის, სამშენებლო საქმიანობის პროცესში მტვრის ემისიების პრევენციისა და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების ღია წვის მავნე ზემოქმედების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები;
- ჩატარდება ტრენინგები საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებისთვის ეკო მართვის წესების შესახებ.

გამოწვევები და რეკომენდაციები

შავი ზღვის ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების პროცესში მრავალი გამოწვევა იკვეთება, რაც ამოცანების და ამოცანების ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას აფერხებს. შეზღუდული პროგრესი (მხოლოდ 13%) ფიქსირდება როგორც გეგმის აქტივობების განხორციელების, ასევე სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის კუთხით.

აზოტის დიოქსიდის (NO₂) გაფრქვევების შემცირების მხრივ, კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოძველებული ავტოპარკი და ავტომობილების მზარდი რაოდენობა ქ. ბათუმში განსაკუთრებით ზაფხულის სეზონზე. აზოტის დიოქსიდით დაბინძურების შემცირების კუთხით, ეკოლოგიური ტრანსპორტის წახალისება უმნიშვნელოვანესი საკითხია, განსაკუთრებით მაშინ როცა მსგავსი ტრანსპორტის (ჰიბრიდი, ელექტრო) წილი ავტოპარკში მცირეა. საჭიროა ჰიბრიდების, ელექტრომობილების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მხარდაჭერის გაძლიერება, რათა შემცირდეს კერძო ავტომობილებზე დამოკიდებულება. აუცილებელია გეგმით განსაზღვრულ აქტივობებთან ერთად დაიგეგმოს და განხორციელდეს დამატებითი აქტივობები ეროვნულ დონეზე, ვინაიდან აზოტის დიოქსიდით დაბინძურება საქართველოს სხვა მსხვილ ქალაქებშიც ფიქსირდება.

სამშენებლო სექტორიდან დაბინძურების შესამცირებლად, რომელიც დედაქალაქში მყარი ნაწილაკების ძირითად ანთროპოგენულ წყაროს წარმოადგენს, აუცილებელია უკვე არსებული რეგულაციების აღსრულების პროცესის გაუმჯობესება, რისთვისაც უნდა მოხდეს საზედამხედველო უწყების ადამიანური შესაძლებლობის გაძლიერება და მონიტორინგის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება.

მნიშვნელოვანია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ქუჩების სველი წესით დასუფთავებას მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ქუჩის მორეცხვას/მორწყვას/დასველებას და მტვრის ნაწილაკების სრულ მოცილებას ქუჩების ზედაპირებიდან ან მათ დროებით ჩახშობას. საჭიროა სათანადო ადმინისტრაციული რესურსის გამოყოფა შესაბამისი ტექნიკის შესაძენად.

ჰაერის ხარისხის შეფასებისა და მისი ჯანმრთელობაზე გავლენის შეფასების მიმართულებით გამოწვევაა არასაკმარისი კვალიფიკაცია და რესურსების სიმწირე, რის საპასუხოდაც საჭიროა დამატებითი კადრების მოზიდვა, არსებული კადრების გადამზადება და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ჰაერის დაბინძურების შემცირების პროცესში გადამწყვეტი ფაქტორია. ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში შავი ზღვის ზონაში თითქმის არ ჩატარებულა საინფორმაციო ღონისძიება, რაც ჰაერის დაბინძურების შემცირების პროცესში მოსახლეობის ჩართულობას ამცირებს. მიზანშეწონილია გეგმით გათვალისწინებული აქტივობების სრულად განხორციელება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს საზოგადოების ინფორმირებულობას და მონაწილეობის ხარისხს ჰაერის დაბინძურების შემცირების პროცესში. მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად სასურველია საჯარო შეხვედრების, ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზება როგორც სკოლებში, ისე საზოგადოებრივ სივრცეებში.

